გაკვეთილების მსვლელობის პროცესში გამოიყენება კედლის მაგნიტური დაფა, ბეჭდური მასალა და პატარა ინდივიდუალური დაფებით პრაქტიკული თამაში ბავშვებისთვის. თავდაპირველად, ბავშვები შეისწავლიან ბაზისურ საჭადრაკო წესებს და ამავდროულად დაიწყებენ თამაშს პატარა დაფებზე. თეორიის სწავლება მიმდინარეობს კედლის მაგნიტური დაფისა და ინდივიდუალური ბეჭდური მასალის საშუალებით, სადაც ბავშვები ასრულებენ საჭადრაკო სავარჯიშოებს.

♟️ სილაბუსი ჭადრაკში — პირველი კლასი

თემა	მიზანი	მეთოდი
ჭადრაკის დაფა	ჰორიზონტალი, ვერტიკალი, დიაგონალი	მაგნიტურ დაფაზე დაფის სტრუქტურის ჩვენება; სახალისო ბეჭდური დავალება
ჭადრაკის ფიგურები	ჭადრაკის ფიგურების სახელწოდებები და საწყისი მდებარეობა	კედლის დაფაზე ფიგურების ჩვენება და სავარჯიშოები
ფიგურების ღირებულება	ფიგურების სიძლიერის შეფასება	რომელი უფრო ძლიერია? გაცვლიდი თუ არა?
მეფე	მეფის მახასიათებლები და მოძრაობის წესები; თამაშის მიზანი.	მაგნიტურ დაფაზე მეფის მოძრაობის ჩვენება; სავარჯიშოები მეფეზე.
ეტლი	ეტლის მოძრაობის წესები	კედლის დაფაზე ეტლის ჩვენება; სავარჯიშოების შესრულება დაფაზე; ბეჭდური სავარჯიშოები; ინდივიადუალურ დაფებზე პრაქტიკულად გამოყენება.
კუ	კუს მოძრაობის წესები	მაგნიტურ დაფაზე ვიზუალიზაცია; სავარჯიშოების შესრულება დაფაზე; ბეჭდური სავარჯიშოები; ინდივიადუალურ დაფებზე პრაქტიკულად გამოყენება.
პაიკი	პაიკის მოძრაობის წესები	პრაქტიკული სიტუაციების ჩვენება კედლის დაფაზე; ფურცელზე სავარჯიშოები; მინი თამაშები.
ლაზიერი	ლაზიერის მოძრაობის წესები	მაგნიტური დაფის გამოყენებით მაგალითები; ბეჭდური სავარჯიშოები; პრაქტიკაში გამოყენება
მხედარი	მხედრის მოძრაობის წესები	კედლის დაფაზე ჩვენება; სავარჯიშოები მასწავლებელთან ერთად; ბეჭდური სავარჯიშოები.
თამაში	ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება	პატარა ინდივიდუალურ დაფებზე თამაში; თამაში მასწავლებელთან კედლის დაფაზე;
ნოტაცია	საჭადრაკო ნოტაციის წესები	კედლის დაფაზე ფიგურების სწორად განლაგება უჯრების ზეპირი კარნახით; სვლების ჩაწერა.

ქიში	ქიშის მნიშვნელობა	რა არის ქიში? რაში გვჭირდება? მაგნიტური დაფის სცენარები; ბეჭდური ამოცანები ქიშის აღმოჩენაზე.
ქიშისგან თავდაცვა	ქიშისგან თავის დაღწევის გზების სწავლა	კედლის დაფაზე 3 თავდაცვითი გზა; სავარჯიშოები ფურცელზე; სავარჯიშოები დაფაზე.
შამათი	შამათის მნიშვნელობა; ჭადრაკის მიზანი	კედლის დაფაზე მაგალითები; ამოცანები ფურცელზე: შამათი 1 სვლაში.
შამათისგან თავდაცვა	შამათისგან თავის დაღწევის გზები	მეფის უსაფრთხო მდგომარეობაში გადაყვანა; კედლის დაფაზე ვიზუალიზაცია; ბეჭდური სავარჯიშოები.
გამამხნევებელი სავარჯიშოები	ყურადღებისა და ფიგურების ხედვის განვითარება	მარტივი ამოცანები: “დაიცავი ფიგურა”, “იპოვე ქიში”, “დაიჭირე პაიკი”
როქი	როქის მნიშვნელობა	როგორ კეთდება როქი? კედლის დაფაზე ვიზუალიზაცია; სახალისო და საინტერესო დავალებები როქზე.
ფიგურის დამუქრება	როგორ დავემუქროთ ფიგურას	კედლის დაფაზე ვიზუალიზაცია; ბეჭდური სავარჯიშოები
ფიგურის გადარჩენა	ფიგურის გადარჩენის გზები	ფიგურის გადარჩენის გზების განხილვა კედლის დაფაზე; სავარჯიშოების ამოხსნა.
პარტიის დასაწყისი	პარტიის დასაწყისის წესები — ცენტრის დაკავება, ფიგურების განვითარება.	კედელზე პარტიის დასაწყისის მაგალითები; ბავშვები თამაშობენ სწორად დაწყებულ პარტიებს.
მინი ტურნირი	მიღებული ცოდნის გამოყენება რეალურ თამაშში.	კლასური მინი ტურნირი პატარა დაფებით; მასწავლებლის დაკვირვება და შეფასება.